



პროექტი

ბავშვთა ადრეული განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

შემაჯამებელი ანგარიში

აპრილი, 2016 წელი

პროექტის შესახებ

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით „საქართველოს ბავშვების“ მიერ განხორციელდა პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ხარისხიანი და ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. პროექტის ამოცანები იყო: სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; მშობელთა ინფორმირებულობის გაზრდა და მობილიზაცია; ადვოკატირება ინკლუზიური სკოლამდელი განათლების ხელშეწყობისათვის.

პროექტით გათვალისწინებული აქტივობები განხორციელდა 2016 წლის იანვარი-აპრილის თვის განმავლობაში.

განხორციელებული აქტივობები

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე, განხორციელდა პროექტის ამოცანების გაცნობა მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსთან პროექტის განხორციელებისას სამინისტროს პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით. მისი განცხადებით, პროექტით გათვალისწინებული ამოცანები და აქტივობები შესაბამისობაშია 2014-2019 წლების ადრეული და სკოლამდელი განათლების და განვითარების ეროვნული სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ ამოცანებთან.

შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის თანამშრომლობის გზების დასახვა ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. ამ მიზნით განხორციელდა შეხვედრა დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგისა და ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტების სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.

ადმინისტრაციის წარმომადგენლის მოწვევით, შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ა(ა)იპ თვითმმართველ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისა და ა(ა)იპ თვითმმართველი მცხეთის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლები. მათთვის მოხდა პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა, რის შედეგადაც ორივე დაწესებულების წარმომადგენელმა გამოხატა მზაობა გაეწიათ მხარდაჭერა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების დაწესებულების პროცესში ქ. მცხეთასა და მცხეთის თემში. საწყის ეტაპზე, მოლაპარაკების შედეგად განისაზღვრა 4 ჯგუფის დაკომპლექტება. 2 ჯგუფი მოიცავდა ქ. მცხეთაში არსებული ბაღების წარმომადგენლებს (1 და მე-2 ცვლის აღმზრდელები) და 2 ჯგუფი მცხეთის მიმდებარე სოფლებში შემავალი ბაღების წარმომადგენლებს (1 ცვლის აღმზრდელები). ა(ა)იპ თვითმმართველი მცხეთის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლების თხოვნით, შეიქმნა მე-5 ჯგუფი, რომელიც მცხეთის მიმდებარე სოფლებში შემავალი ბაღების მე-2 ცვლის აღმზრდელებით დაკომპლექტდა. პროექტით გათვალისწინებული აქტივობის მოდიფიცირების საფუძველზე(მშობელთა გუნდთან წინასწარ დაგეგმილი შეხვედრების რაოდენობა შემცირდა), განხორციელდა აღნიშნული ჯგუფის შექმნა. მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავდა სატრენინგო მოდული, რომელშიც ასახულ იქნა ის ასაკობრივი თავისებურებები და ინდივიდუალური საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და წარმართვისათვის. ტრენინგ მოდული მოიცავდა, როგორც ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან მუშაობის საკითხებს, ასევე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკას. კერძოდ, კი მოდული შედგებოდა შემდეგი საკითხებისგან: ბავშვის ტიპური განვითარება, განვითარების ინდივიდუალური ტემპი და განვითარების დარღვევები, ინკლუზიური განათლების დაწესებულებისა და

განხორციელების ძირითადი პრინციპები, ქცევის მართვის პოზიტიური მიდგომები, ძალადობისგან დაცვა, ეფექტური კომუნიკაცია მშობლებთან. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლების დახმარებით, მოხდა აღნიშნული საკითხების ბალების ადმინისტრაციისა და თანამშრომლებისთვის წინასწარ გაცნობა და მათი პროფესიული ინტერესების და საჭიროებების გამოკვეთა და ყოველივეს გათვალისწინებით ტრენინგ მოდულის სრულყოფა.

პროექტის ფარგლებში ჯამში ტრენინგი ჩატარდა: ქ. მცხეთის 5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 36 აღმზრდელს(იხ. ცხრილი # 1); მცხეთის მიმდებარე სოფლების 17 ბალის 64 აღმზრდელს(იხ. ცხრილი #2) .

ცხრილი #1

#	დაწესებულების დასახელება	გადამზადებული აღმზრდელების რაოდენობა
1	ქ. მცხეთის #1 ბაგა-ბაღი	7
2	ქ. მცხეთის # 3 ბაგა-ბაღი	13
3	ქ.მცხეთის # 4 ბაგა-ბაღი	10
4	ქ. მცხეთის # 5 ბაგა-ბაღი	5
5	ქ. მცხეთის #6 ბაგა-ბაღი	1

ცხრილი #2

#	დაწესებულების დასახელება	გადამზადებული აღმზრდელების რაოდენობა
1	სოფ. გალავანის ბაგა-ბაღი	6
2	სოფ. ლისის ბაგა-ბაღი	1

3	სოფ. ძეგვის ბაგა-ბალი	6
4	სოფ. ნიჩბისის ბაგა-ბალი	4
5	სოფ. მისაქციელის ბაგა-ბალი	4
6	სოფ. სელექციის ბაგა-ბალი	2
7	სოფ. საგურამოს ბაგა-ბალი	7
8	სოფ. ერედის ბაგა-ბალი	1
9	სოფ. ციხისძირის ბაგა-ბალი	12
10	სოფ. მუხრანის #1 ბაგა- ბალი	6
11	სოფ. მუხრანის #2 ბაგა- ბალი	6
12	სოფ. ძალისის ბაგა-ბალი	3
13	სოფ. ჩარდახის ბაგა-ბალი	3
14	სოფ. ქსოვრისის ბაგა- ბალი	1
15	სოფ. ქსნის ბაგა-ბალი	1
16	სოფ. პატარა ქანდას ბაგა-ბალი	2

ტრენინგი მოიცავდა საკითხების როგორც თეორიულ განხილვას, ისე პრაქტიკული დავალებების შესრულებას, მონაწილეთა მიმდინარე რთული შემთხვევების განხილვასა და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებას.



ტრენინგის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა მონაწილეთათვის პროფესიული სუპერვიზიის გაწევა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სუპერვიზიის სესია ჩატარდა ქ. მცხეთის 36 და მცხეთის მიმდებარე სოფლების 41 აღმზრდელთან.

სუპერვიზიის სესია მოიცავდა რთული შემთხვევების განხილვას, შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში აღმზრდელებისთვის უკუკავშირის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას.



ა(ა)იპ თვითმმართველ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისა და ა(ა)იპ თვითმმართველი მცხეთის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლების ტექნიკური მხარდაჭერით დაიგეგმა და განხორციელდა მშობელთა გუნდების ფორმირება. სულ ფორმირდა 6 მშობელთა გუნდი, საიდანაც ერთი დაკომპლექტდა მცხეთის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მშობლებით, 5 კი ქ. მცხეთაში მცხოვრები მშობლებით.

პროექტის ფარგლებში ჯამში მშობელთა გუნდის შეხვედრებში ჩართული იყო მცხეთის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 32 მშობელი და ქ. მცხეთაში მცხოვრები 137 მშობელი.

მშობლებთან განხორციელებულ პირველ შეხვედრაზე მოხდა საჭიროებების განსაზღვრა. გამოვლინდა, რომ მშობლების უმრავლესობა დაინტერესებული იყო ბავშვის განვითარებასთან, ქცევის მართვასთან დაკავშირებული საკითხებით. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით წინასწარ განსაზღვრულ საკითხებთან (ბავშვის უფლებები, ქვეყანას არსებული სერვისები, განვითარების საჭიროებები და

მათი დაკმაყოფილების გზები) ერთად, დაიგეგმა შემდგომი შეხვედრების თემატიკაც. მშობელთა გუნდის შეხვედრები მოიცავდა, ზემოთ აღნიშნული საკითხების როგორც თეორიულ განხილვას, ისე კონკრეტული შემთხვევების განხილვას და კონსულტაციის გაწევას ბავშვთან დაკავშირებულ სხვადასხვა საჭიროებაზე.

გარდა ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მშობლების ინფორმირებისა და კონსულტაციის გაწევისა, ასევე მათთან განხილულ იქნა ადვოკატირების საკითხების.

დასკვნა/რეკომენდაციები

განხორციელებული აქტივობები დადებითად იქნა შეფასებული პროექტში ჩართული თითოეული მხარის(სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ბაგა-ბაღების ადმინისტრაცია, ბაგა-ბაღების აღმზრდელები, მშობლები) მიერ. პროექტის ეფექტურობა მათი აზრით განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ თითოეული აქტივობა მაქსიმალურად პასუხობდა კონკრეტული სამიზნე ჯგუფის საჭიროებას. ბაგა-ბაღების გაერთიანების, ბაგა-ბაღების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და აღმზრდელების განცხადებით, მნიშვნელოვანია თუკი ბაგა-ბაღების აღმზრდელების პროფესიული უნარების განვითარებაზე მიმართული მსგავსი ტიპის აქტივობები რეგულარულ სახეს მიიღებს - ტრენინგებისა და სუპერვიზიის სესიების ჩატარება გარკვეული პერიოდულობით. ასევე, ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მშობელთა განათლების კომპონენტს, რაც ხელს უწყობს ბავშვის საჭიროებების შესახებ მშობლების ცნობიერების გაზრდასა და ბავშვთა ადრეული განათლებისა და განვითარების პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას.